17.11.2020
წერილი # GE-00812 OUT
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების
და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის
უფროსს, ბატონ იური დოლიძეს

ბატონო იური,

გაცნობებთ, რომ სს „გრინვეი საქართველომ" (შემდგომში „დედა კომპანია") 2018 წლის 31 აგვისტოს დააფუძნა შვილობილი საწარმო სს გრინვოშ (შემდგომში „შვილობილი საწარმო"), რომელშიდაც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქციათა 75% ფლობს დედა კომპანია.

2018 წელს შვილობილმა საწარმომ სესხის სახით მიიღო 20,075 ლარი ხოლო 2019-ში 2,588,038 ლარი დედა კომპანიისაგან, რისი საშუალებითაც დაიწყო დანადგარების შეძენა. 2018 და 2019 წლების განმავლობაში კომპანიას არ დაუწყია ოპერირება და შესაბამისად შემოსავლის გენერირება, მხოლოდ იძენდა ძირითად საშუალებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „გრინვეი საქართველოს" ინდივიდუალური ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებისაგან, ასევე 2019 საანგარიშგებო წლის შესაბამისად სამსახურში წარდგენილ აუდირებულ ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების 2.4 მუხლში მითითებული გვაქვს, რომ დედა კომპანიის მშობელი საწარმო სს „ა გრუფი" (ს.კ:405291795) სამსახურში წარადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებას, რომელშიც შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია. შესაბამისად ჩვენს მიერ ატვირთული იქნა მხოლოდ ინდივიდუალური ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება.

პატივისცემით,

სს „გრინვეი საქართველო"
ვახტანგ ებიტაშვილი
დირექტორი

17 ნოემბერი 2020 წელი

შპს „ნექსია თი ეი"
გელა მღებრიშვილი
გარიგების პარტნიორი

17 ნოემბერი 2020 წელი